აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 11 | 14 მაისი 2018 წელი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“ (09-01-08/62, 10.05.2018)

დასახელება

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია	*საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია*
ავტორი	ინიციატორი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

10.05.2018 წელი	განხილვის ვადა: 16.05.2018 წელი	საგაზაფხულო სესია
შემოსვლის თარიღი	საკომისიო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია;
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისია;
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია;
საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია

ტელ : (+995 032) 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ.მეგენეიშვილის ქ.N25

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო

და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 76-ე მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებულ "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს.

გთხოვთ, უზრუნველყოთ დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურის დაწყება.

დანართი 5 ფურცელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი
საბჭოს აპარატი
№ 09-01-08/02
10 05 2018
6 ფურცელი

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე გიორგი რომანაძე

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 138[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.

2. უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი განისაზღვროს **5 046,8** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) ხარჯები **5 006,8** ათასი ლარი:

ა.ა) შრომის ანაზღაურება **3 433,2** ათასი ლარი;

ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა **40,0** ათასი ლარი.

3. უმაღლესი საბჭოს მომუშავეთა რიცხოვნება განისაზღვროს **117** საშტატო ერთეულით.

4. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული თანხები გათვალისწინებული იქნეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტში.

5. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბაქვი

-- მაისი 2018წ.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
დადგენილების პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი

დადგენილების მიღება განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით („2. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას და მთავრობისათვის წარდგენას უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭო, არაუგვიანეს 1 ივნისისა. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის პროექტი მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, დადგენილებით. “).

პროექტის საფუძველია უმაღლესი საბჭოს ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2018 წლის 8 მაისის N1154 წერილი.

ა.ბ) დადგენილების მიზანი

დადგენილება შემუშავებულია უმაღლესი საბჭოს 2019 წლის გადასახდელების დაფინანსების უზრუნველყოფისათვის.

ა.გ) დადგენილების ძირითადი არსი

დადგენილებით ხორციელდება უმაღლესი საბჭოს 2019 წლის გადასახდელების დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა ცალკეული მუხლების მიხედვით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები:	2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2019 წლის ბიუჯეტის პროექტი	სხვაობა
1	2	3	4
მომუშავეთა რიცხოვნება:	117	117	0
სულ გადასახდელები:	**4846800**	**5046800**	200000
ხარჯები	**4831800**	**5006800**	175000
შრომის ანაზღაურება	**3326160**	**3433220**	107060
საქონელი და მომსახურება	**1465470**	**1533580**	68110
სოციალური უზრუნველყოფა	**16170**	**20000**	3830
სხვა ხარჯები	**24000**	**20000**	-4000
არაფინანსური აქტივები	**15000**	**40000**	25000
ვალდებულებები	**0**	**0**	0

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

დაფინანსების წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრები. მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება მომავალი წლის ბიუჯეტი.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. იზრდება მომავალი წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი .

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს მიმდინარე წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. იზრდება მომავალი წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები

დადგენილების პროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება დადგენილების პროექტის მოქმედება

დადგენილების პროექტის მიღება მომავალი წლისათვის არ იქონიებს უარყოფით გავლენას საშტატო ერთეულით გათვალისწინებულ მოხელეებზე.

გ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ არის მიღებული

გ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება დადგენილების პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს

დ) დადგენილების პროექტის ავტორი

დადგენილების პროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი

დადგენილების პროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია.

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის
2018 წლის 10 მაისის სხდომის №4 ოქმიდან

მოისმინეს: გიორგი რომანაძის მოხსენება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ინიციატივის დაწყების საფუძველი არის უმაღლესი საბჭოს ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2018 წლის 8 მაისის N1154 წერილი

აზრი გამოთქვეს: *ნ.ჩხეტიამ, ხ.შარაშიძემ, ვ.წულაძემ, გ.აბულაძემ.*

გადაწყვიტეს: დაიწყოს საკანონმდებლო ინიციატივა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ".

კომისიის თავმჯდომარე გიორგი რომანაძე

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია

დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიამ 2018 წლის 10 მაისის სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 138[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განიხილა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი“. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია ეთანხმება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს“ და მიზანშეწონილად მიაჩნია განსახილველად გადაეცეს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

კომისიის თავმჯდომარე გიორგი რომანაძე

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

11/05/2018
N 1197

1197-09-02-11-3-201805111456

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის
ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
დადგენილების პროექტის თაობაზე
(N09-01-08/62, 10.05.2018წ)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის მოსამზადებლად, განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეესაბამება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გელა ღოღობერიძე

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი